

კვირის მიმოხილვა

19, 30 ივნისი-6 ივლისი

30 ივნისი - 6 ივლისის პერიოდში მედია მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიძულვილის ენის ადრესატები კვლავ ლგბტ ჯგუფები (ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება) და ნაციონალური მოძრაობა (რობერტ სტურუა, რეჟისორი) იყვნენ;
- ქსენოფობია ჩინელების, თურქების, არაბების, ინდოელების, ირანელების მიმართ როგორც რესპონდენტების (თემურ შამიაშვილი, ზურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია; ზურაბ ჯორბენაძე, ადვოკატი), ასევე ჟურნალისტების (ასავალ-დასავალი, ობიექტივი) მხრიდან იჩენდა თავს;
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიწის გასხვისებაზე დაწესებული მორატორიუმის ანტიკონსტიტუციურად ცნობის შესახებ კვლავ აქტუალური თემა იყო და ქსენოფობიურ კონტექსტში შუქდებოდა. ამგვარ მიდგომას როგორც მმართველი კოალიციის (გოგი თოფაძე - ქართული ოცნება), ასევე სხვა პარტიების (ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი; ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება) წარმომადგენლები, სასულიერო პირები (ილია II, საქართველოს პატრიარქი, ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი), ყოფილი სახალხო დამცველი (ნანა დევდარიანი) და მედია (გაზეთები: ასავალ-დასავალი, ალია და მედია-კავშირი "ობიექტივი") ახდენდა. აღნიშნულ თემასთან მიმართებაში კრიტიკის სამიზნე

- საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის ავტორი საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო იყო, რა დროსაც აქცენტი ორგანიზაციის ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის ავსტრიულ წარმომავლობაზე დაუსაბუთებლად კეთდებოდა;
- ინტერნეტ-პორტალი "საქინფორმი" პოლიტიკური პირების ეთნიკური იდენტობის (საკიანი, ავაქიანი) დაუსაბუთებელ მითითებას ახდენდა;
- მიმდინარე კვირაში განსაკუთრებით იმატა ანტიდასავლურმა განწყობებმა, რაც ასოცირების ხელშეკრულების ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენას, ანტიამერიკულ განწყობებს, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, ცალკეულ პირთა სექსუალურ ორიენტაციას და ხშირად ცრუ ინფორმაციის გავრცელებას უკავშირდებოდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიური იყო ინტერნეტ-პორტალი "საქინფორმი", თუმცა ნარატივი სხვა მედია საშუალებებშიც (გაზეთები ასავალ-დასავალი, ალია, კვირის ქრონიკა; მედია-კავშირი "ობიექტივი", ინტერნეტ-პორტალები Geworld.ge; რეპორტიორი) იდენტური იყო;
- ლგბტ პირები "ავადმყოფებად" მმართველი კოალიციის წარმომადგენელმა (დავით ფაცაცია) მოიხსენია;
- გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას და სტერეოტიპებს მედიის (გაზეთი "ასავალ-დასავალი", სააგენტო "პირველი") მხრიდან ჰქონდა ადგილი.



შინაარსი

სიძულვილის ენა	2
ქსენოფობია	2
ქსენოფობია უცხოელებზე მიწის გასხვისების კონტექსტში	3-4
ანტიდასავლური განწყობები	5-8
სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია	8
გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	9
ცრურწმენა და სტერეოტიპები	9



ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია MDF და GDI და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

სიკუპვილის ენა

კვირის ქრონიკა,
30 ივნისი - 6 ივლისი
ელიზბარ ჯავშელიძე, სახალხო

კრება: „ლგბტ“ საზოგადოების საქართველოში დაფუძნებას არასოდეს შევეგუები! მეზიზღებიან ასეთი ადამიანები, სადაც შემხვდებიან იქ გავუსწორდები ფიზიკურად თუ სულიერად!“

პირველი, 5 ივლისი

რობერტ სტურუა, რეჟისორი: „არც სინდისმა შეაწუხა... არც უზნეო ოჯახში ჯერ გაუხრწნელმა შვილებმა... ველური

ტომის მოდგმას - ჯალათებს, ქართველი კაცის სახელისგამტეხელს მექრთამე ევროპა ვედარ იცავს... დაიწყო!“
http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=4781&lang=geo

ოზიექტივი, ღამის სტუდია, 4 ივლისი

ტელემაცურებელი: "...ეგენი (ნაციონალური მოძრაობა) არიან სადისტურ-მანიაკალური ბანდა და მათ მიმართ არის დასაშვები ყველაფერი.“
http://www.myvideo.ge/?video_id=2370020



ელიზბარ ჯავშელიძე, სახალხო კრება:

„ლგბტ“ საზოგადოების საქართველოში დაფუძნებას არასოდეს შევეგუები! მეზიზღებიან ასეთი ადამიანები, სადაც შემხვდებიან იქ გავუსწორდები ფიზიკურად თუ სულიერად!“

ქსენოფობია

კვირის ქრონიკა, 30 ივნისი-6 ივლისი

თეიმურაზ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-ერთიანი

ოპოზიცია: „...მახსოვს, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურის წევრები იდგნენ რიგში, რომ ქუთაისის ავეჯი ოჯახებში შეეტანათ და ახლა ჩვენ ჩინელების მონები ვართ.“

GEWORLD.GE 3 ივლისი

ზურაბ ჯორჯენაძე,

ადვოკატი: „...თუ ნატო და ევროპა სამხედრო დახმარებას გაგვიწევს, მთელი ერი ამოწყდება ამ უთანასწორო ომში. მერე კი ჩვენს მიწაზე დასახლდებიან ჩინელები, თურქები, არაბები, ირანელები და ასოცირებული ევროპელები და ამერიკელები.“

<http://geworld.net/View.php?ArtId=6020&lang=ge>

ასავალ-ღასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი

დიტო ჩუბინიშვილი, ჟურნალისტი: „მართლაც, როცა მთელი საქართველო ჩინელების, ინდოელების, არაბების, ირანელებისა და თურქების ხელშია, გლობალიზაცია ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ჩვენისთანა პატარა ტერიტორიებდაკარგული უუფლებო სახელმწიფოს მეგობარი და დამცველი!“

თურქოფობია

ოზიექტივი, ღამის სტუდია, 1 ივლისი

სოსო ჯაალიშვილი, ჟურნალისტი: "დღეს რომ გაიაროთ რუსთაველზე, ღიად არის უკვე, წერია ჰალალ, ჰალალ. ეს ხომ ეკონომიკური ექსპანსიაა..."

ჩვენი მოსახლეობა, ანი, თურქეთის მოსახლეობისგან განსხვავებით, ბევრად განათლებული მოსახლეობაა. თურქეთში 70%, მა მოსახლეობის წერა-კითხვა არ იცის. თორე ერდოღანს არ აირჩევდნენ."

<http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=17605>

ქსენოფობია უცხოელზე მიწის გასხვიების კონტექსტში

კვირის პალიტრა, 30 ივნისი-6 ივლისი

ბობი თოფაძე, ქართული ოცნება:

"ისე შეესია ზოგი უცხოელი, მათ შორის ინდოელები, ირანელები და სხვები, ტრაგედია მოხდება, თუ არ შევინარჩუნებთ ჩვენი შთამომავლობისთვის ამ მიწებს."

კვირის ქრონიკა, 30 ივნისი-6 ივლისი

მლიზგარ ჯავახიძე, სახალხო კრება:

„...კიდევ ერთი ხარკი გაიღეს და სამსხვერპლოლოზე მიიტანეს მიწის გასხვიების საკითხთან დაკავშირებული ამბავი. ეს ყველაფერი ნამირალა გიგაურმა წამოიწყო! სამშობლოს ბედით ვაჭრობს ეს გათახსირებული! უნდა გაჩაჩხო და ისე გადმოკიდო ალვის ხეზე! საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანაო განაჩენი, სოროსის აღზრდილი ყმაწვილი რომაა, პაპუაშვილი, იმას გადაუწყვეტია და გაუუქმებია მიწის საკითხზე გამოცხადებული მორატორიუმი. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველ გლეხს სპობენ! ჩამოდიან ფულიანი უცხოელები, ქართველებს კი იმონებენ და ბადრაგებივით ამუშავებენ კაპიკებზე.“

ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-3 ივლისი

მლიზგარ ჯავახიძე, სახალხო კრება:

„ანტიდისკრიმინაციული კანონის“ მიღებით ჩვენი მორალური განადგურება სურთ, ხოლო უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვის განახლებით ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება იგეგმება!.. როცა ჩვენს მიწას კაპიკებად უცხო თესლის ბატონი დაეპატრონება, ხომ მთლად დაგვაქცევს და გაგავაპარტახებს?!“

GEWORLD, GE 2 ივლისი

ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტა

ალიანსი: “ეს არის, პირდაპირი გაგებით, ოკუპაცია ქართული მიწა-წყლის... შეგიძლიათ, ეკონომიკის სამინისტროს საიტზე შეხვიდეთ და ნახოთ, რომ 130 ათას ჰექტარზე მეტი მიწა გასაყიდადაა გამზადებული... ქართველი კაცი, ფაქტობრივად, მშობლიური მიწა-წყლის გარეშე რჩება...”

მეთი სომერიკი: ერთ დღესაც რომ გავიღვიძებთ, ალბათ, ერაყელები და თურქები გვეყოლება მეზობლად...

ვაჟა ოთარაშვილი: დიახ, სამწუხაროდ, შეგნებულად მიმდინარეობს ქართველი ერის გენოციდი... სამწუხაროა, რომ ისეთი მართლმადიდებლური კულტურის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ურჯულოთა ასეთი შემოტევაა. კაცმა არ იცის, ხვალ-ზეგ ეს ხალხი, რომელსაც აქ ვასახლებთ, პარლამენტარი გახდება, ტელევიზიებს გახსნის, გაზეთებს გამოუშვებს, კვარტლებს ააშენებს, თუ რას იზამს.“
<http://geworld.ge/View.php?ArtId=6009>

ინტერპრესნიუსი, 30 ივნისი

ილია იმორე, საქართველოს

პატრიარქი: „ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ რთულ დროს, როცა შეიძლება ეს ფასეულობა, რომლითაც არსებობს ქართველი ადამიანი, მთლიანად დაგვარგოთ, დაგვარგოთ იმიტომ, რომ სხვებს გააჩნია ბევრი საშუალება, ფული, რათა ეს ყველაფერი იყიდონ. იყიდოს უცხო ხალხმა, უცხო ქვეყნებმა და შეიძლება საქართველო დარჩეს სრულიად ცარიელი.“

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/288074-ilia-meore-mitsa-tsyaros-tsylebi-mdinareebi-sabadoebi-ar-unda-gaskhvisdes.html?ar=A>



.ბობი თოფაძე, ქართული ოცნება: "ისე შეესია ზოგი უცხოელი, მათ შორის ინდოელები, ირანელები და სხვები, ტრაგედია მოხდება, თუ არ შევინარჩუნებთ ჩვენი შთამომავლობისთვის ამ მიწებს."

ქსენოფობია უცხოელზე მიწის გასხვისების კონტაქტში

დასაწყისი გვ. 3

ინტერპრესნიუსი, 2 ივლისი

ილია მამოკა, საქართველოს

პატრიარქი: „... ყველაზე დიდი

მატერიალური სიმდიდრის, ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მოსამსახურე პერსონალად გადაქცევა არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც, პირველ რიგში, ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ ჰქონდეს შიდა სამეწარმეო რესურსების გამოყენების საშუალება“.

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/288418-uckho-qveynis-moqalaqeebze-mitsis-gaskhvisibis-procesze-sapatriarqo-ilia-meoris-ganckhadebas-avrcelebs.html?ar=A>

ალია, 2 ივლისი

ელიზბარ ღიაკონიძე, დიაკონი:

„...რატომ უნდა, მაინცდამაინც უცხოელმა იყიდოს ქართული მიწა? და საკონსტიტუციო სასამართლო ამას მიესალმება?.. ხალხო! გურჯაანელის მიწის პატრონი ინდოელია და ხომ კარგია?! და ევროკავშირში გვინდა შესვლა?“

ალია, 1 ივლისი

ნანა ღვებარიაძე, ყოფილი სახალხო

დამცველი: "დღეს მიწების დაპყრობა

აღარ ხდება შეიარაღებული გზით... უცხოელები მიწას რომ ყიდულობენ, ნაყოფიერ ფენას ჭრიან, ის მიაქვთ უცხოეთში და ყიდნიან... ეს არის ქვეყნის მტრობა, ქვეყნის დაღუპვა"...

ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:

„აი ეს მათიას ჰუტერი [საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს ყოფილი თანამშრომელი] კი აქ მომუშავე ავსტრიის

მოქალაქეა, რომელიც ჩვენებურმა ლიბერასტებმა ლეღვის ფოთოლივით აიფარეს თავისი შავ-ბნელი საქმის გასაკეთებლად!.. ანუ ეს ჩვენი ლიბერასტები ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვას ლობივებენ და საამისოდ ვიღაც ასო-ელ ავსტრიელს იყენებენ... ჩვენებური ლიბერასტების, ნაცების თუ ნაცმიდრეკილი ასო-ებისთვის საქართველო სამშობლო კი არა, დროებითი საცხოვრებელი ადგილია!“

ალია, 1 ივლისი

ლევან ჯაგასიშვილი, ჟურნალისტი:

"მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და ამათ თუ ასე გააგრძელეს, ჩვენი ადგილი მართლა აღარ დარჩება საქართველოში, უკვე გაივსო უცხოელებით ქვეყანა... ახლა ამ მორატორიუმის გაუქმებით ისე მოაწყდებიან არაბები, ინდოელები და სხვები საქართველოს."

ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:

„...ჩვენებურმა ლიბერასტებმა კიდევ ერთხელ არ დაუჯერეს პატრიარქის შეგონებას და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ორი დღით ადრე ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვის მორატორიუმი გააუქმეს!“

ობიექტივი, ღამის სტუდია 2 ივლისი

ბონდო მინარაშვილი, წამყვანი:

„ვისაც ერთი და ორი ჰექტარი აქვს, არავითარ უცხოელს არ მიჰყიდის ამას. შეიძლება მეზობელს მიჰყიდოს, ან ნათესავს, მაგრამ აფრიკელს ნამდვილად არ მიჰყიდის და არ ჩაისახლებს.“

<http://obieqtivi.net/tv1.php?id=17620>



ნანა ღვებარიაძე,

ყოფილი სახალხო

დამცველი: "დღეს მიწების დაპყრობა აღარ ხდება შეიარაღებული გზით... უცხოელები მიწას რომ ყიდულობენ, ნაყოფიერ ფენას ჭრიან, ის მიაქვთ უცხოეთში და ყიდნიან... ეს არის ქვეყნის მტრობა, ქვეყნის დაღუპვა"...

ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი

ელიზბარ ჯაველიძე,

სახალხო კრება: „დაიხ, ბატონო! ჩვენი პარლამენტი უკვე „ხელდამშვენებული“ შეხვდა გაევროპელებს, ანუ პედერასტობის ნორმად ქცევას!“

...დაიხ, ბატონო! ეს „გამჭვირვალობა“ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და ეს ვითომ „სამართლიანი არჩევნები“ - აი ესენი არიან უმთავრესი ანტიქართული და ამერიკულ-ევროპული გრანტებით გაზულუქებული აგენტურა!“
"...მე რამდენადაც ხელი მიმიწვდება ამ ხელშეკრულებაზე [ასოციარების], ერთ-ერთი დიდი პარაგრაფი ეთმობა „ლგბტ“ ინსტიტუტის საქართველოში დაფუძნებას. სწორედ ამიტომ მოხდა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღება...

ამიერიდან რუსეთის აგრესია გაძლიერდება... რუსეთს კი არ ვამტყუვენებ?!”

კვირის ქრონიკა, 30 ივნისი-6 ივლისი

თემურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-ერთიანი

ოპოზიცია: „...მაგალითად, „რესპუბლიკელების“ ლიდერი, უსუფაშვილი და მისი მეუღლე თავის დროზე სოროსის ფონდში მუშაობდნენ, მერე წავიდნენ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“. შეიძლება ეს ბევრს არ ახსოვს, ეგენი პირწავარდნილი სოროსელები არიან... ნახეთ, როგორ მოქნილად ებრძვიან

ბიბლიას, იქიდან მხოლოდ ბედნიერებას იღებენ და არ აინტერესებთ სამშობლო. ... არც ერთი თეორია არ უშვებს, რომ შეიძლება ცხოვრობდე უბედურ ქვეყანაში და იყო ბედნიერი: ამას უშვებენ მხოლოდ სოროსის აღზრდილები... პოლიტიკური ძალა იცვლება, მაგრამ სისტემა იგვიყვია, რომელიც არის სოროსული. ეს სისტემა არჩევნებით არ შეიცვლება.“

ალია, 2 ივლისი

ელიზბარ ღიაკონიძე, დიაკონი:

„ევროკავშირში გვინდა შესვლა? ჯერ არსად წამიკითხავს, ერს ასე ეზიემოს გაუპატიურება! რა გეზიემება, ქვეყნის დაქვევას რომ მომიწერეს ხელი? და ზუსტად ამიტომ ვტოვებ ამ ქვეყანას. ამ ზნედაცემული ხალხის ქვეყანაში ცხოვრებას არ ვაპირებ.“

პირველი 2 ივლისი

ელიზბარ ღიაკონიძე, დიაკონი:

„ასეთი ადამიანები და მათი მიმდევარნი სწორედ კარლ ბილდტის გამოყვანილი ჰიბრიდები არიან. მას ეტყობა უნდა, ოჯახის წევრებად ჰყავდეს ასეთები და ჰყავდეს იმ ქვეყანაში, სადაც ევროპელები და, თავიანთი ჭკუით, ყველანაირად მოწესრიგებული ხალხი არიან... რად მინდა მაგისთანა საჭმელი თუ სულიერებას შემირყენი? ეს ხელმოწერა ჩვენი ქვეყნის დაღუპვის დასაწყისია, რომელიც ძალიან მალე ყოველგვარ მყუდროებას დაგვირღვევს, მათ შორის სულიერ მყუდროებასაც -

მართლმადიდებლობასაც“
http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=4613&lang=geo

რეპორტიორი 5 ივლისი

გიორგი გაბადავა, პოლიტკატიმრის სტატუსით

გათავისუფლებული პირი:


„...რაც შეეხება შენს [კარლ ბილდტი] კომენტარს, უზრდელი დიპლომატო! შენზე და შენნაირებზე საშიში ვინ არის? ბავშვებს ბაღის ასაკიდან აიძულებთ სექსუალურ ცხოვრებას! გარყვნილებას არეკლამებთ, რადგან საკუთარი გარყვნილება ნორმად წარმოაჩინოთ! რუსეთი თუ ოკუპანტია, მართლმადიდებლობა რა შუაშია? მართლმადიდებლურ სახელმწიფოს დაუხოცა რუსეთმა ხალხი! მართლმადიდებლური სახელმწიფოს მიწები აქვს ოკუპირებული - აფხაზეთს და სამაჩაბლოს ვგულისხმობ! შენ დიპლომატი კი არა, ერთი გარყვნილი და გაუზრდელი ვინმე ხარ!“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=32214>

რეპორტიორი 5 ივლისი

გიორგი ვოფსაძე, ჟურნალისტი:

„გამოსულა ეს ევროკავშირის სირცხვილი დიმიტროვი და უთქვამს: გიგი უგულავას საქმე შემფოთებას იწვევსო და შე, კაცის მსგავსო შენა, გირგვლიანის მკვლელობა შემფოთებას არ იწვევდა?... ხოოო და აბა, ეხლა ენა ჩაიკმინდე და შენი წკმუტი არ იყოს“.



გიორგი გაბადავა, პოლიტკატიმრის სტატუსით

გათავისუფლებული პირი:

„...რაც შეეხება შენს [კარლ ბილდტი] კომენტარს, უზრდელი დიპლომატო! შენზე და შენნაირებზე საშიში ვინ არის? ბავშვებს ბაღის ასაკიდან აიძულებთ სექსუალურ ცხოვრებას! გარყვნილებას არეკლამებთ, რადგან საკუთარი გარყვნილება ნორმად წარმოაჩინოთ! რუსეთი თუ ოკუპანტია, მართლმადიდებლობა რა შუაშია?“

გაგრძელება გვ. 6

ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 5

GEWORLD.GE 1 ივლისი

ნანა ღვებარიაძე, ყოფილი სახალხო დამცველი:

"არ მაინტერესებს თქვენი კულტურა», - განუცხადა [ჯო] ბაიდენმა სტუმრებს და დასძინა, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც არ აძლიერებენ ლგბტ პირთა უფლებებს, არაა დამიანურობის საფასური უნდა გადაიხადონ.

...სექსუალურ უმცირესობათა საკითხი უკვე უკიდურესად პოლიტიზებულია და საკმარისია, მათ მიმართ აღტაცება არ გამოხატო (სულერთია, საქართველოში თუ უკრაინაში), რომ მაშინვე პრორუსულის მაღალ წოდებას მიიღებ!"

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6007>

ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი

ნანა ღვებარიაძე, ყოფილი სახალხო დამცველი:

"ახლა როგორ ფიქრობთ, ევროკავშირში გიჟები სხედან, რომ ამ პირობებში საქართველოს ვიზების ლიბერალიზაცია გაუკეთონ?!..

...ევროკავშირის ძირითადმა ბირთვმა ვრაფრით მოინელა ის ახალი წევრები, რომლებიც ამ გაერთიანებას უკანასკნელ წლებში შეურთდნენ...

საქართველომ თავისი ხარისხიანი ხორცი მთლიანად ექსპორტზე უნდა გაიტანოს, ხოლო აქ ნაგავი და უხარისხო ხორცი უნდა შემოიტანოს."

ოპიქტივი, ღამის სტუდია 1 ივლისი

სოსო ზაალიშვილი, ჟურნალისტი:

"ამერიკამ რაც გააკეთა ბოლო ამ 8 წლის განმავლობაში, მართლა საშინელებაა. პრობლემა ის არის, რომ ეს ადმინისტრაცია, რომელიც დღეს არის ამერიკაში, პირველ რიგში, ამერიკისთვის არის უბედურება და შემდეგ არის უბედურება დანარჩენი მსოფლიოსთვის..."

"მე უბრალოდ იმედი მაქვს, რომ ჩვენ სანამ შევალთ ევროკავშირში, ჩვენ სანამ შევალთ ნატოში ეს ორგანიზაციები აღარ იქნებიან."

<http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=17605>

საქინფორმი, 1 ივლისი

საქინფორმი: „მიშკ სააკიანის მეგობარი ზბიშკ ბუჩინსკი ურჩევს განადგურონ კიევი, ხარკოვი და მილიონობით მოქალაქე, ჩეჩნეთის ომის გამოცდილებაზე დაყრდნობით“.

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19486:2014-07-01-10-09-55&catid=109:amo&Itemid=538#xzz36m4ZgzCt

კვირის ქრონიკა, 30 ივნისი- 2 ივლისი

გიორგი ჯიქიაშვილი, ჟურნალისტი:

„...ეს ღირებულებები [დასავლური] არა თუ ქართულ მენტალობასთან არაა თავსებადი, თვით ევროპის ძირძველ ქვეყნებშიც კი მათი დამკვიდრება დიდი წინააღმდეგობებისა და სამოქალაქო ვნებათაღელვის ფონზე მოხდა....

საქართველო, როგორც ევროკავშირის წევრობაზე ორიენტირებული ქვეყანა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აღმოჩნდება მსგავსი გამოწვევების წინაშე. (ჰომოსექსუალთა ქორწინების დაკანონება)ეს დრო არც ისე შორსაა და განსაცდელი კარს ისე მოგვადგება, გაფიქრებასაც ვერ მოვასწრებთ“.

ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 6

ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი

ჯაბა ხუზა, ჟურნალისტი: „...იქნებ

ბუნება გვეუბნება, რომ არაბუნებრივი გზით მივდივართ?! [გულისხმობს მიწისძვრას] იქნებ ბუნება მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ბუნებრივი ადგილი არ არის იქ, სადაც მაგალითად, სოდომ-გომორული ცოდვა ჰგვიბის და სადაც ამ ცოდვის წინააღმდეგ ხმის ამოდების გამო სახელოვან და დიდებულ ქართველ სოპრანოს თამარ ივერს ბრწყინვალე კარიერას ლამის უნგრევენ, ხოლო ქალად გადაკეთებულ კაცს - წვერებიან კონჩიტაც ევროვიზიის გამარჯვებულად აცხადებენ და თავს დაჰფოფინებენ! უნდა ვიდოდეთ თუ არა ამ გზით?!“

ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი

დიტო ჩუბინიშვილი, ჟურნალისტი:

„მოხდა საშინელი რამ - ქუთაისელი აბიტურიენტების აბსოლიტურმა უმრავლესობამ, ე.წ. „ჩაჩეხვის“ შიშით აქაოდა, „პედერასტების კანონის“ ხელმომწერ ხელისუფლებასა და იელოველებითა და სოროსის ლეკვებით გადაჭედულ განათლების სამინისტროს ჩვენი ეროვნულ-პატრიოტული აზრები არ მოეწონებაო, თხზულება უკუღმართად დაწერა. არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ საქართველო უკვე კარგა ხანია, რაც ორი ბატონის მსახური კოლონიური სახელმწიფოა.“

საქინფორმი, 2 ივლისი

"მიუხედავად სათვალისა, დადგრილი სისხლისგან დაბრმავებულმა ამერიკამ „ვერ დაინახა“ 110 000 უკრაინელი ლტოლვილი რუსეთში და კიდევ 54 000 ათასი ადამიანი, რომლებიც იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ საკუთარი სახლები... აშშ-მა გაერო პრაქტიკულად კრემლისთვის მუშაობაში დაადანაშაულა, თუმცა ჩლოუნგი

იანკები ვერ მიხვდნენ, რომ ამით უკრაინელები აღიარეს რუსეთის შვილებად".

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19498:2014-07-02-08-04-37&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz36mCd57cx

საქინფორმი 30 ივნისი

„ცნობისათვის: ადრე ამ თვეში ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აღიარებული გეი დანიშნა ელჩად ვიეტნამში...“

ქართულ საზოგადოებას აინტერესებს - როდის გამოაქვეყნებს თავისი ჰომოსექსუალი, ლესბოსელი და პედერასტი თანამშრომლების სიას ევროპასთან ასოცირებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო? და იყო თუ არა ეს მოთხოვნა ინტერუქციათა სქელტანიან საქალაქში, რომლითაც ქართული დელეგაცია დაბრუნდა ბრიუსელიდან მიმდინარე წლის 27 ივნისს?“

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19458:-6-&catid=109:arno&Itemid=538#axzz37Xdc5ExD

GEWORLD.GE 3 ივლისი

ზურაბ ჯორჯინაძე, ადვოკატი:

„საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ჩვენი სამშობლო ჩვენი აღარ არის და უცხო ქვეყნის, კერძოდ, ამერიკის კარნახით იმართება. ახლა ევროპელები კი არა, უფუნქციო მონები ვართ, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში აღარაფერი გვეკითხება.“

<http://geworld.net/View.php?ArtId=6020&lang=ge>

ობიექტივი, ღამის სტუდია 1 ივლისი

ტელემეყურებელი: "ამ წუთში

საქართველოში ყველაზე დიდი უბედურება ამერიკამ გაგვიჩალიჩა და გაუჩალიჩა მთელ მსოფლიოს."

<http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=17605>

კვირის ქრონიკა, 30 ივნისი- 6 ივლისი

ნათელა, ემიგრანტი: "ნურავინ ნუ

იფიქრებს, რომ ევროპა კარგია, მე აქ ევროპაში ვარ და ვხედავ, ერთეულები როგორ ხვეჭავენ, დანარჩენები კიდევ წყალს მიაქვს."



ჯაბა ხუზა,

ჟურნალისტი: „...იქნებ ბუნება

გვეუბნება, რომ არაბუნებრივი გზით მივდივართ?!“

[გულისხმობს მიწისძვრას] იქნებ ბუნება მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ბუნებრივი ადგილი არ არის იქ, სადაც მაგალითად, სოდომ-გომორული ცოდვა ჰგვიბის... ქალად გადაკეთებულ კაცს - წვერებიან კონჩიტაც ევროვიზიის გამარჯვებულად აცხადებენ და თავს დაჰფოფინებენ!“

ანტიდასავლური განწყობები

საქინფორმი, 30 ივნისი

„აშშ კონგრესის წევრმა ნიუ-იორკის შტატიდან, დემოკრატ - პედერასტმა შონ პატრიკმა ლონმა ოფიციალურად გააფორმა ერთსქესიანი ქორწინება თავის შეყვარებულ პედერასტთან! ქორწილში დაპატიჟებული არიან საქართველოს პარლამენტის წევრი დემოკრატები...

თუმცა, ცისფერი კონგრესმენის გადაწყვეტილების მთავარი სტიმული აშშ-ს №1 სტრატეგიული პარტნიორის - საქართველოს პარლამენტის მიერ ლგბტ-საზოგადოების ექსკლუზიური დაცვის - ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება გახდა."

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19455:2014-06-30-09-33-04&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz36lnoEEq9

ეთნიკური ნიშნის დაუსაბუთებელი მითითება

ინტერნეტ-პორტალი "საქინფორმი" საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილს და უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვს სომხური გვარებით "საკიანად" და "ავაქიანი" დაუსაბუთებლად მოიხსენიებს.

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19486:2014-07-01-10-09-55&catid=109:arno&Itemid=538#ixzz36m4ZqzCt
http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19481:terrorism-----&catid=102:samartali&Itemid=473#ixzz36m4NAk3t

გმადრული ნიშნით დისკრიმინაცია

ასავალ-დასავალი, 30 ივნისი-6 ივლისი

დიტო ჩუბინიკი, ჟურნალისტი:

„ორი შვილის დედა ბავშვებს რომ სახლში მიატოვებს და თავად ღამის კლუბისკენ გაუტევეს უქმროდ და უპატრონოდ, ასეთი ქალი ცოლად და დედად რომ არ ვარგა, არ იცით? ასეთ

ქალს ქიმუნჯი რომ სჭირდება, ვინმეს ეჭვი გეპარებათ?“
„კიდევ ერთხელ გიმეორებთ _ თქვენ არც ქალთა უფლებების დასაცავად ვარგინხართ და არც - კაცთა, თქვენ ხართ უსქესო „კონჩიტების“ აპოლოგეტები!“

პირველი, 5 ივლისი

„ინტერნეტში პოლიციის ფორმაში ჩაცმული სუსტი სქესის წარმომადგენლების ფოტოები გავრცელდა.“
http://pia.ge/show_news.php?id=18629&lang=geo

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

**ობიექტივი, ღამის
სტუდია, 1 ივლისი
ღამით ფაცაცია,**

ქართული ოცნება:

"კანონი რას ამბობს, რომ ადამიანი არ დაჩაგრო იმის გამო, რომ ის ავადმყოფია. ჩემი აზრით, ასეა რა. ჩემის აზრით, ეს არის დაავადება, რომელიც არის გენეტიკური, ან რაღაცა მდგომარეობით გამოწვეული".

<http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=17604>

GEWORLD.GE 2 ივლისი

**ვაჟა ოთარაშვილი,
პატრიოტთა ალიანსი:**

„რა თქმა უნდა, გახსოვთ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე პატრიარქისა და საპატრიარქოს უმკაცრესი განცხადება. ვინმემ გაიზიარა? 112 ხმით - ასე

მოლაღატურად მიიღეს პედერასტებისა და

ლესბოსელების

მხარდასაჭერი კანონი.“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=6009>

საქინფორმ, 30 ივლისი

„...დომინიკანის რესპუბლიკის კათოლიკე კარდინალმა ნიკოლას დეჯესუსლო პეს როდრიგესმა გააკიცხა აშშ-ს პედერასტი ელჩი და ურჩია მას, თავისი ჰომოსექსუალობით სხვაგან იამაყოს! კარდინალმა გასულ წელსაც გააკრიტიკა „ცისფერი“ ელჩიმის მიერ ქმართან ერთად გამოქვეყნებული ვიდეოს გამო და მას პედერასტი უწოდა.“

http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=19457:--6-----&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz36lm4N5lu

**ასაგალ-ღასაგალი,
30 ივნისი-6 ივლისი**

**დიტო ჩუბინიკი,
ჟურნალისტი:**

„ქალბატონი შორენა შავერდაშვილი _ ჟურნალი „ლიბერალის“ მთავარი რედაქტორი, რომელიც ნინია კაკაბაძესთან ერთად ნიადაგ სახლიდან გამოგდებულ ქალბიჭებსა და წვეროსან თუ უწვერულვაშო „კონჩიტებს“ იცავდა, ბოლო დროს, როგორც ჩანს, ავადსახსენებელ „ულმერთოთა კავშირს“ გაუმიჯნურდა... შავერდაშვილი ვერა და ვერ ისვენებს - რომ მეგონა, ე.წ. პედერასტების კანონის მიღების შემდეგ...“

ცრურწმენა და სტერეოტიპები

.პვირის ქრონიკა, 30 ივნისი- 2 ივლისი

კონსტანტინე გიორგაძე, მღვდელი:

„მე გირჩევთ იმაზე გაამახვილოთ ყურადღება, რომ ქალაქში, საკანალიზაციო ჭის თავებზე გამოსახულია ორთოდოქსული ჯვრები და ეს გაკეთდა სპეციალურად, რომ ადამიანებმა ფეხი დაადგან. 100 000 მოწამე იმიტომ ეწამა, რომ ჯვარს არ დაადგა ფეხი და ახლა კი საკუთარი ნებით გვადგმევინებენ ჯვარზე ფეხს.“

ალია, 1 ივლისი

ლევან ჯავახიშვილი, ჟურნალისტი: „აიდი“ ბარათების საკითხზე დღემდე კატეგორიულია საპატრიარქო, მიაჩნია, რომ ის მხეცის ნიშანს ატარებს და ხელისუფლებას არაერთხელ სთხოვა, ხალხისთვის დაეტოვებინა არჩევანი-ვისაც „აიდი“ ბარათის აღება არ სურთ, მათ ჩვეულებრივი პირადობის მოწმობები აიღონო. “